



MES 7 22 0001473148



18/11/2022

**პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების
განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს
სხდომის ოქმი**

ქ. თბილისი

ახალი კორონავირუსის (COVID-19) შესაძლო გავრცელების პრევენციისა და უსაფრთხოებისათვის საბჭოს სხდომა ჩატარდა ონლაინ რეჟიმში 2022 წლის 8 ნოემბერს. სხდომის დაწყებამდე 10 წუთით ადრე ცენტრის ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა ბმული, საიდანაც ყველა დაინტერესებულ პირს შეეძლო საბჭოს სხდომაზე ონლაინ ჩართვა.

Join Zoom Meeting

<https://us02web.zoom.us/j/82218275385?pwd=SFZkOENraDBLM1lzanZ4UnRLNnpkUT09>

Meeting ID: 822 1827 5385

Passcode: 595297

საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს (შემდგომში საბჭო) წევრები:

ნინო ბაბალაშვილი - ა(ა)იპ - საქართველოს ზრდასრულთა განათლების ქსელის დირექტორი (საბჭოს თავმჯდომარე);

ზაირა ბერიძე - სსკ - საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის პროფესიული განათლების მრჩეველი (საბჭოს წევრი);

გიორგი გამყრელიძე - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ეკონომიკური პოლიტიკის დეპარტამენტის შრომის ბაზრის ანალიზის სამმართველოს მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (საბჭოს წევრი);

თეა გულუა - გაეროს განვითარების პროგრამა საქართველოში, ცოდნის მართვის და ინოვაციების სპეციალისტი (საბჭოს წევრი);

ნინო ველთაური - სსიპ - დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს დირექტორი (საბჭოს წევრი);

მარიამ ქუჩულორია - პროფესიული განათლების ექსპერტი (საბჭოს წევრი);

თორნიკე თოხაძე - ა(ა)იპ - საქართველოს საინფორმაციო ტექნოლოგიების ასოციაციის პრეზიდენტი (საბჭოს წევრი);

ნატო მებურიშვილი - სსიპ - საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხარისხის განვითარების სამმართველოს უფროსი (საბჭოს წევრი);

თორნიკე ჯობავა - სსიპ - საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს „ინტერნეტი განვითარებისთვის“ პროგრამის კოორდინატორი (საბჭოს წევრი);

მარიამ ნოზაძე - სსიპ - აწარმოე საქართველოში ადამიანური რესურსების მენეჯერი (საბჭოს წევრი);

მარიამ შოთაძე - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის კოლეჯების კოორდინაციის სამმართველოს უფროსი (საბჭოს წევრი).

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ნანი დალაქიშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

ქეთევან ციხისელი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;

ლანა გაჩეჩილაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;

ნათია მჭედლიძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;

სალომე ქუთათელაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;

მაყვალა დარსანია - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;

მაია აბდალაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

დაწესებულების წარმომადგენლები:

შპს - საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA:

ია ერაძე - დირექტორი,

ნათელა ჩაჩუა - ხარისხის მართვის სამსახურის უფროსი,

ნატა ჩხეიძე - პროგრამის განმახორციელებელი.

სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი:

მადონა მიქელაძე - პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დირექტორი,

ჯილდა აბაშიძე - პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის ხარისხის მართვის მენეჯერი,

მამუკა გოგელია - პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი,

რუსუდან გიგაშვილი - სექტორული პლატფორმა მომავლის ფერმერის თავმჯდომარე,

მამუკა თურმანიძე - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მინისტრის მრჩეველი.

ა(ა)იპ აჭარის ქართული ხელოვნების სკოლა:

ვახტანგ ბერიძე - დირექტორი,

ია თავართქილაძე - იურისტი,

მაია ანანიძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი,

თამარ მაჭავარიანი - ქორეოგრაფიული განყოფილების უფროსი.

ა(ა)იპ საქართველოს სამაცივრე მეურნეობების და ლოჯისტიკის ასოციაცია:

ლევან ფხაკაძე - აღმასრულებელი დირექტორი,
ვერიკო ხომერიკი - კონსულტანტი,
თეა ოსეფაშვილი - კონსულტანტი.

პროფესიული მომზადების პროგრამებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების ექსპერტები:

ელისო საბაური,
ნანა ვერულაშვილი,
ნინო ხარხელაური,
უჩა დვალიშვილი,
თამარ ახალაძე.

საბჭოს სხდომა დაიწყო 14:10 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარე მიესალმა საბჭოს წევრებს, დაწესებულებების და ცენტრის წარმომადგენლებს და შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა, დაადგინა: რადგან სხდომაზე წარმოდგენილია საბჭოს წევრთა სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი, „პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“ - საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების (შემდგომში №131 დადგენილება) მე-9 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, შეუდგეს მუშაობას. თავმჯდომარემ ასევე შეახსენა საბჭოს წევრებს, რომ №131 დადგენილების მე-11 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

მიღებული იქნა საბჭოს მონაწილეთა ერთობლივი ნებართვა საბჭოს სხდომის აუდიო ჩანაწერის წარმოებაზე, რომელიც ოქმის პროექტის შედგენის შემდეგ რეგულაციის მიხედვით, განადგურდება, და ასევე, ნებართვა მონაწილეთა ერთობლივი ფოტოს გადაღებაზე.

საკითხების განხილვამდე სიტყვა ითხოვა პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა ნანი დალაქიშვილმა, მან მიულოცა საბჭოს ახალ შემადგენლობას და უსურვა ნაყოფიერი საქმიანობა. მან დასძინა, რომ საბჭოს ფუნქციონირება ძალიან მნიშვნელოვანია, ვინაიდან, მას შემდეგ, რაც 2019 წლიდან საფუძველი დაედო პროფესიული განათლების სისტემაში ახალ მიმართულებას, პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამების დანერგვას, საბჭო ყოველვის ფუნქციონირებდა დაწესებულებების მიმართ მხარდაჭერის სულიკვეთებით. დასძინა, რომ ყველა მხარეს ლომის წილი მიუძღვის ამ საქმის ეფექტურად წარმართვაში, ცენტრს უწყვეტ რეჟიმში აქვს წარმოებები, კიდევ ერთხელ აღნიშნა ექსპერტების და საბჭოს აპარატის წვლილი. წლის ბოლოს, საქართველო მონაწილეობას მიღებს ევროპის განათლების ფონდის თანამშრომლობის ვიზიტის მუშაობაში, ჩამოვა ექსპერტთა ჯგუფი, რომლებიც შეაფასებენ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამების დანერგვის პროგრესს, შესაბამისად შეხვედრები შედგება როგორც საბჭოს წევრებთან, ასევე ექსპერტებთან და დაწესებულებებთან. მან წარმატება უსურვა საბჭოს ახალ შემადგენლობას და სიტყვა გადაეცა საბჭოს თავმჯდომარეს ნინო ბაბალაშვილს.

საბჭოს თავმჯდომარემ ნინო ბაბალაშვილმა მადლობა გადაუხადა ნანი დალაქიშვილს და აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანია საბჭოს საქმიანობა, რის შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მონაწილეებს გააცნო სხდომის **დღის წესრიგი**:

1. შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA-ის „ფარმაცევტული ზრუნვა (კონსულტირება)“ /01492/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა;
2. შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA-ის „პარაფარმაციის კონსულტანტი“ /01490/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა;
3. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „მცენარეთა ინტეგრირებული დაცვა“ /01495/ პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა;
4. ა(ა)იპ საქართველოს სამაცივრე მეურნეობებისა და ლოჯისტიკის ასოციაციის „მიწოდების ცივი ჯაჭვის მართვა“ /01455/ პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა;
5. ა(ა)იპ აჭარის ხალხური ხელოვნების სკოლის „ქორეოგრაფიული ანსამბლის მოცეკვავე-მსახიობი“ /01496/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. შუამდგომლობა არ იყო, საბჭოს სხდომა გაგრძელდა დღის წესრიგის მიხედვით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ვინაიდან საბჭოს მდივანი მარიკა ზაქარეიშვილი არ ესწრებოდა სხდომას, საბჭოს მდივნის ფუნქცია შეესრულებინა საბჭოს წევრ ზაირა ბერიძეს, რაზეც მან თანხმობა განაცხადა

1. შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA-ის „ფარმაცევტული ზრუნვა (კონსულტირება)“ /01492/ პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს და სთხოვა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა დარგის ექსპერტმა ელისო საბაურმა. მან აღნიშნა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2022 წლის 20 სექტემბრის №1119410 ბრძანების საფუძველზე პროფესიული მომზადების პროგრამებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების ექსპერტმა ელისო საბაურმა და ცენტრის წარმომადგენელმა მათა აბდალაძემ 2022 წლის 28 სექტემბერს განახორციელეს ვიზიტი შპს საქართველოს ბიზნეს აკადემიაში - SBA, ქ. თბილისში, რუსთავის გზატკეცილი 18-22, სადაც განთავსებულია პროგრამის სასწავლო სივრცე.

ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა პროფესიული გადამზადების პროგრამის „ფარმაცევტული ზრუნვა (კონსულტირება)“ განხორციელების უფლების მოპოვების სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება.

ვიზიტის დროს ექსპერტისა და ცენტრის წარმომადგენლის მიერ განხორციელდა გასაუბრება დაწესებულების ხელმძღვანელთან, სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსთან, ხარისხის მართვის მენეჯერთან, ბიბლიოთეკართან, განმახორციელებელ პირებთან.

ვიზიტის დროს დათვალა პროგრამის სასწავლო აუდიტორიები, სასწავლო და მატერიალური რესურსი, მოხდა გასაუბრება პრაქტიკის ობიექტებთან დაკავშირებით.

ვიზიტის დროს ხარვეზი არ დაფიქსირებულა. რეკომენდაცია არ გაცემულა.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ წარმოდგენილი პროგრამა შეიქმნა შპს-ს ფარმას ინიციატივით და USAID-ის საგრანტო პროექტის მხარდაჭერით და ასევე სხვა კომპანიების აქტიური თანამშრომლობით.

დარგის ექსპერტმა განმარტა, რომ პროგრამის მიზანს წარმოადგენდა კონკურენტუნარიანი კადრის მომზადება-გადამზადება, რომლებიც შეძლებენ მომხმარებელს მიაწოდონ ეფექტური და სანდო მედიკამენტური ინფორმაცია, გაუწიონ კვალიფიციური დახმარება, დაადგინონ რა დაავადების დროს, რომელი ურეცეპტო სამკურნალო საშუალებები მიიღოს მომხმარებელმა და რომელი სიმპტომების დროს აუცილებელია მიმართოს ექიმს. მან დასძინა, რომ პროგრამაზე დაიშვებიან ფარმაცევტები, ფარმაცევტის თანაშემწეები, ფარმაციის ბაკალავრისა და მაგისტრის აკადემიური ხარისხის და ასევე სამედიცინო განათლების მქონე პირები. სწავლების პრაქტიკული კომპონენტი განხორციელდება პსპ-ს აფთიაქების ქსელში და თითოეულ მსმენელზე გამოყოფილია ერთი ზედამხედველი პირი.

პრეზენტაციის წარდგენისას, საბჭოს წევრმა გიორგი გამყრელიძემ დასვა კითხვა, თუ რამდენად არის დაშვებული და მიღებული ურეცეპტო წამლის გაცემის შემთხვევაში ფარმაცევტმა გასცეს, ასევე გაუწიოს კონსულტაცია კლიენტს, რაზეც დარგის ექსპერტმა უპასუხა, რომ ფარმაცევტს აქვს უფლება მომხმარებელს დაუნიშნოს ურეცეპტოდ გასაცემი პროდუქტი.

აღნიშნულთან დაკავშირებით დამატებით განმარტა პსპ ფარმას წარმომადგენელმა ნატა ჩხაიძემ, მან აღნიშნა, რომ ჯანდაცვის მინისტრის ბრძანების თანახმად, ფარმაცევტს აქვს უფლება ურეცეპტოდ გასაცემი მედიკამენტების მიწოდება და მათზე კონსულტირების გაწევა, ურეცეპტოდ გასაცემი მედიკამენტები ჯანმოს მსოფლიო ორგანიზაციისა და ფარმაცევტთა საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ მიჩნეულია, როგორც თვითმკურნალობის მედიკამენტები, მან ასევე დაამატა, რომ თვითმკურნალობის გვერდითი ეფექტები რომ იყოს მინიმუმამდე დაყვანილი, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციისა და ფარმაცევტთა მსოფლიო ორგანიზაციის მიერ არის გაცემული რეკომენდაცია იმის შესახებ, რომ შეიცვალოს ფარმაცევტის საქმიანობის პარადიგმა და მსოფლიოში დამკვიდრდა ფარმაცევტული ზრუნვა, თუმცა საქართველოში დღემდე არ იყო დანერგილი აღნიშნული საკითხი, რადგან კადრი ვერ მზადდებოდა პროგრამის არ არსებობიდან გამომდინარე.

საბჭოს წევრის კითხვას, ასევე გამოეხმაურა დაწესებულების ხელმძღვანელი ია ერაძე და აღნიშნა, რომ, როდესაც დაიწყო ამ პროგრამის შემუშავება, მოხდა აღნიშნული საკითხის მოკვლევა, რათა რაიმე სახის წინააღმდეგობა არ ქონოდა პროგრამას, სწორედ არსებული რეგულაციების გათვალისწინებით.

დარგის ექსპერტი პრეზენტაციაში შეეხო პროგრამის აქტუალობას, მან აღნიშნა, რომ „ფარმაცევტული ზრუნვა (კონსულტირება)“ არის კომპლექსური პროგრამა ფარმაცევტსა და პაციენტს შორის - წამლით მკურნალობის მთელი პერიოდის განმავლობაში, წამლის გაცემიდან მის საბოლოო მოქმედებამდე. ამ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, საქმე არ ეხება ექიმის როლის ნიველირებას ფარმაცევტის სასარგებლოდ. თვითმკურნალობა დასაშვებია მხოლოდ სიცოცხლისათვის არა საშიში სიმპტომებისა და სინდრომების განვითარების შემთხვევაში,

მაშინ როდესაც მათი შემცირება შესაძლებელია ურეცეპტოდ გასაცემი მედიკამენტების მეშვეობით (მაგ. ანტიდოტები, საფადართო, ანალგეზიური, სპაზმოლიზური საშუალებები და ა.შ.). მან ასევე აღნიშნა, რომ დამსაქმებლებმა დააიდენტიფიცირეს ის ძირითადი უნარები, ცოდნა და კომპეტენციები, რაც გახდის კურსდამთავრებულს კონკურენტუნარიანსა და მოთხოვნადს შრომის ბაზარზე. ეს არის იმ ძირითადი მოვალეობებისა და პასუხისმგებლობების ერთობა, რასაც თავად ბიზნესი, როგორც დამსაქმებელი მიიჩნევს ყველაზე მნიშვნელოვანად, რასაც კურსდამთავრებული უნდა ფლობდეს, რათა მან სრულად უპასუხოს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, რაც, დამსაქმებელი კომპანიების აზრით, კურსდამთავრებულს გახდის კონკურენტუნარიანს შრომის ბაზარზე. მან დასძინა, რომ პროგრამა შინაარსიდან გამომდინარე არ საჭიროებს დარგობრივი მარეგულირებელი ორგანოს თანხმობას, რადგან მათი რეგულირების სფეროში არ შედის. მნიშვნელოვანია ასევე ის ფაქტიც, რომ პროგრამის დასრულების შემდეგ გაიცემა სახელმწიფოს მიერ აღიარებული სერტიფიკატი.

საბჭოს წევრმა ნინო ველთაურმა აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანია წარმოდგენილი პროგრამის შექმნა, რადგან ბაზარზე ამ მიმართულებით დამსაქმებლებისა და სამუშაოს მაძიებლების მხრიდან მოთხოვნა არსებობს. ნინო ველთაურმა დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა განემარტა, რამდენად დიდია აღნიშნულ პოზიციებზე კადრების მოთხოვნა.

დაწესებულების ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ ისინი ცდილობენ ახალი უნარების შექმნით მიიღონ ახალი პროგრამები და მისი თქმით, რაც მთავარია ამ პროგრამების შექმნის ინიციატივა წამოვიდა ბიზნეს სექტორიდან და არა კოლეჯის მხრიდან.

ია ერაძემ აღნიშნა რომ პროგრამის შექმნის პროცესში ჩართული იყო საქართველოში არსებული, თითქმის ყველა მსხვილი ფარმაცევტული კომპანია, ასევე, მისი თქმით ამას დაემთხვა საგრანტო კონკურსის გამოცხადება და მათ შეიტანეს ერთობლივი განაცხადი, მან ყურადღება გაამახვილა იმ საკითხზე, რომ მუშაობის პროცესში შეიქმნა უნარების რუკა და ასევე მეთოდოლოგიაც, რომელიც გაზიარებული იქნება სხვა ბიზნესებისთვის, ასევე კოლეჯებისა და ფარმაცევტული ბიზნესებისთვის.

ნატა ჩხაიძემ აღნიშნა, რომ მათ ამ მიმართულებით ყოველწლიურად სჭირდებათ კადრები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები, საბჭოს წევრებს დამატებითი კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA-ის „ფარმაცევტული ზრუნვა (კონსულტირება)“ /01492/ პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 11

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA-ს (ს/კ: 406037550) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული გადამზადების პროგრამა - ფარმაცევტული ზრუნვა (კონსულტირება) /01492/

(დანართი1).

2. შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA-ის „პარაფარმაციის კონსულტანტი“ /01490/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა დარგის ექსპერტმა ნანა ვერულაშვილმა, მან აღნიშნა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2022 წლის 20 სექტემბრის №1119416 ბრძანების საფუძველზე, პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროს სპეციალისტმა სალომე ქუთათელაძემ და დარგის ექსპერტმა ნანა ვერულაშვილმა განახორციელეს ვიზიტი შპს საქართველოს ბიზნეს აკადემიაში - SBA, (შემდგომში-აკადემია) ქ.თბილისში, რუსთავის გზატკეცილი 18/22, ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა პროფესიული მომზადების პროგრამის „პარაფარმაციის კონსულტანტი“ განხორციელების უფლების მოპოვების სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება.

ვიზიტისას გადამოწმდა პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო მატერიალური, ადამიანური და სასწავლო რესურსი. მოხდა გასაუბრება დაწესებულების წარმომადგენლებთან, პრაქტიკული კომპონენტის განმახორციელებელ კომპანია შპს ჰსპ ფარმა-ს წარმომადგენელთან, და პროგრამის განმახორციელებელ პირებთან. ვიზიტი წარიმართა კოლეგიალურ და თანამშრომლობით გარემოში.

ვიზიტის დროს ხარვეზი არ დაფიქსირებულა. რეკომენდაცია არ გაცემულა.

დარგის ექსპერტი ნანა ვერულაშვილი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და აღნიშნა, რომ პროგრამის მიზანია პარაფარმაცევტული პროდუქციის კონსულტირებისთვის კვალიფიციური კადრის მომზადება, პროფესიული მომზადების პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა საშუალო განათლება, ხოლო აპლიკანტთა შერჩევის ფორმა არის გასაუბრება.

მან ასევე ყურადღება გაამახვილა პროგრამის პარამეტრებზე და აღნიშნა, რომ პროგრამის ხანგრძლივობა მოიცავს 431 საათს, აქედან თეორიულ კომპონენტს დაეთმობა 189 საათი, პრაქტიკულ კომპონენტს 232 საათი, შეფასებას 10 საათი. პროგრამის ხანგრძლივობა არის 12 კვირა, კვირეული საათობრივი დატვირთვა 26-38 საათი.

დარგის ექსპერტმა ყურადღება გაამახვილა პროგრამის აქტუალობაზე, მან აღნიშნა, რომ ფარმაცია ერთ-ერთი წამყვანი, მოთხოვნადი, დასაქმებადი პროფესიაა. იგი დღითიდღე ავტორიტეტული და პოპულარული ხდება. აფთიაქი მოიცავს, როგორც მედიკამენტებსა და ავადმყოფის მოვლის საგნებს, ასევე პარაფარმაცევტულ საშუალებებსაც, რომელიც აერთიანებს მოვლის ჰიგიენურ საშუალებებს, ბადებს, კოსმეტიკას და ბავშვთა კვებას. როგორც მოგეხსენებათ ეს ასორტიმენტი მრავალფეროვანი და ყოველდღიურად მოთხოვნადია, ამიტომაც ამ პროდუქციას ვხვდებით როგორც აფთიაქებში, ასევე ჰიპერმარკეტებში ცალკე განყოფილებებში, პარფიუმერიის მაღაზიებში და სხვა სავაჭრო ცენტრებში. ეს ის პროდუქციაა, რომლის შერჩევა და კონსულტირება ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენი მომხმარებლისთვის. კვალიფიციური კადრები ამ სფეროში დეფიციტია, მოთხოვნა ამ პოზიციებზე, განაკუთრებით ახალგაზრდა კადრების მხრიდან დიდია. თანამედროვე აფთიაქებში მომსახურებით სარგებლობენ არა მარტო პაციენტები, არამედ მომხმარებელთა დაახლოებით 40% შემოდის

დაავადების პრევენციისთვის, ჯანმრთელობაზე და სილამაზეზე ზრუნვისთვის. მომხმარებელთა გაზრდილი მოთხოვნები და მომსახურების სერვისის გაფართოების გამო სააფთიაქო/ნომენკლატურა/ასორტიმენტი იზრდება, რაც ასევე აისახება სამუშაო ადგილების გაზრდით.

ამიტომ დიდი სააფთიაქო ქსელები იძულებულნი არიან თვითონ მოახდინონ კადრების მომზადება, რაც მათთვის არც თუ ისე ხელსაყრელია. თანამედროვე მომხმარებელი ითხოვს მომსახურების მაღალი სერვისს.

ამ სფეროში დასაქმებულმა პირებმა უნდა დაიცვან კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნები, რომელიც დაკავშირებულია აღიარებასთან, ჰოგიენის მოთხოვნებთან, სხვადასხვა სტანდარტების დანერგვასთან, როგორც არის: წარმოების კარგი პრაქტიკა GMP ან/და ჰოგიენის კარგი პრაქტიკა GHP; HACCP, ტრადიციულ მეთოდების გამოყენებასთან.

წარმოდგენილი პროგრამის დანერგვა ხელს შეუწყობს დაინტერესებული პირებისთვის ფარმაციის სფეროში ცოდნის მიწოდების უწყვეტი ციკლის ორგანიზებას, მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლა-სწავლების შესაძლებლობას და ამ ცოდნის გამოყენების საფუძველზე კურსდამთავრებულთა დასაქმებას.

მან ასევე აღნიშნა, რომ თეორიული კომპონენტის განხორციელება შესაძლებელია შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA-ში, აგრეთვე შესაძლებელია დისტანციურად განხორციელება, ხოლო პრაქტიკული კომპონენტი განხორციელდება პრაქტიკის ობიექტზე შპს „ჰსპ ფარმას“ სააფთიაქო ქსელებში. მსმენელები პრაქტიკას გაივლიან საცხოვრებელ ადგილთან ახლოს მდებარე „ჰსპ ფარმა“-სააფთიაქო ქსელში.

დარგის ექსპერტმა პრეზენტაციის ფარგლებში აღნიშნა, რომ წარმოდგენილი პროფესიული მომზადების პროგრამა ითვალისწინებს 6 სწავლის შედეგის მიღწევას, როგორც მისი მხრიდან აღინიშნა პროგრამა უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო ადამიანური რესურსით, კერძოდ, პროფესიული გადამზადების პროგრამის - „პარაფარმაციის კონსულტანტი“ განხორციელებაში ჩართული იქნება 5 განმახორციელებელი პირი.

დაწესებულებამ წარმოადგინა განმახორციელებელ პირთა პირადი საქმეები კვალიფიკაციის დამადასტურებელი და შესაბამისი სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტებით.

დარგის ექსპერტის მხრიდან აღინიშნა, რომ წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით განმახორციელებლებს უდასტურდებათ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების სწავლებისთვის შესაბამისი განათლება და პრაქტიკული გამოცდილება.

ასევე აღინიშნა, რომ სასწავლო რესურსი ხელმისაწვდომია პროგრამის მსმენელებისათვის და მორგებულია მათ საჭიროებებზე. მსმენელებისთვის ხელმისაწვდომია ელექტრონულად, მატერიალური სახით, დაწესებულების ვებ-გვერდიდან, ასევე კომპიუტერებში ჩატვირთული ელ-რესურსის სახით.

აკადემიაში არის ბიბლიოთეკა, რომელიც 3 სასწავლო აუდიტორიაშია განთავსებული, აქედან ორი დარბაზი არის სამკითხველო და ერთი აღჭურვილია თანამედროვე ახალი კომპიუტერებით, რათა მსმენელებს ქონდეთ ინდივიდუალურად მეცადინეობის საშუალება.

საბჭოს წევრმა გიორგი გამყრელიძემ დასვა კითხვა, თუ რა განსხვავებაა ამ პროგრამასა და პირველ საკითხად განხილულ პროგრამას შორის, რაზეც დარგის ექსპერტმა უპასუხა, რომ „ფარმაცევტული ზრუნვა (კონსულტირება)“ არის პროფესიული გადამზადების პროგრამა, ხოლო აღნიშნული პროგრამა არის პროფესიული მომზადების პროგრამა, მან განმარტა, რომ პარაფარმაცია უშუალოდ არ არის დაკავშირებული მედიკამენტებთან, არამედ ეს არის პირადი მოვლის საშუალებები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები, საბჭოს წევრებს დამატებითი კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA-ის „პარაფარმაციის კონსულტანტი“ /01490/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 11

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA-ს (ს/კ: 406037550) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - პარაფარმაციის კონსულტანტი /01490/ (დანართი 2).

3. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „მცენარეთა ინტეგრირებული დაცვა“ /01495/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა დარგის ექსპერტმა ნინო ხარხელაურმა, მან აღნიშნა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2022 წლის 7 ოქტომბრის №1247687 ბრძანების საფუძველზე პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარმა სპეციალისტმა ლანა გაჩეჩილაძემ და დარგის ექსპერტმა ნინო ხარხელაურმა შეისწავლეს პროფესიული გადამზადების პროგრამის „მცენარეთა ინტეგრირებული დაცვა“ განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადი და 2022 წლის 13 ოქტომბერს განახორციელეს ვიზიტი სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში და პროგრამის ფარგლებში პარტნიორ ორგანიზაციაში -აგროსერვისცენტრში.

ვიზიტის დროს გადამოწმდა პროფესიული გადამზადების პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო მატერიალური, ადამიანური და სასწავლო რესურსი.

ვიზიტის დროს ხარვეზი არ დაფიქსირებულა.

გაიკა ორი რეკომენდაცია, კერძოდ

ქვესტანდარტი 1.4 - პროგრამის სწავლის შედეგებით გათვალისწინებული მასალა საკმაოდ დიდი მოცულობისაა პროგრამის ხანგრძლივობიდან გამომდინარე, სწავლის შედეგების

მისაღწევად. მნიშვნელოვანია, რომ პროგრამაზე ჩაირიცხოს საკმაოდ მაღალი კომპეტენციის მქონე მსმენელი, ამდენად, რეკომენდაცია გაიცა პროგრამაშიც მიეთითოს ტესტირების გავლის საჭიროება შერჩევის ფორმაში, რათა ჯერ ჩატარდეს ტესტირება და შემდეგ გასაუბრება.

ქვესტანდარტი 1.10 - რეკომენდირებულია, რომ ყველა სწავლის შედეგის ბოლოს გამოიყენონ განმავითარებელი შეფასება, რაც ასევე უნდა აისახოს პროგრამაში.

დარგის ექსპერტმა ნინო ხარხელაურმა პრეზენტაციის ფარგლებში ისაუბრა პროგრამის მიზანზე და აღნიშნა, რომ პროფესიული გადამზადების პროგრამის „მცენარეთა ინტეგრირებული დაცვა“ მიზანია მოამზადოს კონკურენტუნარიანი კადრი მცენარეთა დაცვის სფეროში, კერძოდ პირი, რომელიც იცნობს მცენარეთა დაცვის სფეროში არსებულ საერთაშორისო, ეროვნული კანონმდებლობის და რეგლამენტის მოთხოვნებს, შეუძლია მცენარეთა დაცვის მეთოდების და საშუალებების შერჩევა-გამოყენება უსაფრთხოების წესების დაცვით და უზრუნველყოფს აჭარის რეგიონში გავრცელებული ძირითადი სასოფლო-სამეურნეო კულტურებისთვის მცენარეთა ინტეგრირებული დაცვის ღონისძიებების განხორციელებას. რაც შეეხება პროგრამის დასაბუთებას, ექსპერტის მხრიდან აღინიშნა, რომ 2019 წელს საქართველოში ამერიკის სოფლის მეურნეობის დეპარტამენტის (USAID) მიერ დაფინანსდა პროექტი „საქართველოს სანიტარული და ფიტოსანიტარული გაძლიერება-SPS Capacity Building in Georgia“, პროექტი მიზნად ისახავდა საქართველოში მცენარეთა დაცვის დარგის გაუმჯობესების ხელშეწყობას, პროგრამის პრიორიტეტულობას განსაზღვრავს ისიც, რომ ეს პროექტი ხორციელდება საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს და ა(ა)იპ „მომავლის ფერმერ“-თან მჭიდრო თანამშრომლობით, გარდა ამისა, პროექტის დონორები არიან, როგორც ადგილობრივი სახელმწიფო ორგანოები, ასევე საერთაშორისო დონორები (FAO, Czech Embassy, EU, USAID) და კერძო სექტორი.

დარგის ექსპერტმა ყურადღება გაამახვილა, იმაზე თუ ვისთვისაა განკუთვნილი აღნიშნული პროგრამა და აღნიშნა, რომ წარმოდგენილი პროგრამა განკუთვნილია მოქმედი ან პოტენციური ფერმერებისთვისაც, რომელთაც სურთ, თვითონ აწარმოონ საკუთარი მეურნეობა, ასეთი მეურნეობა კი ძალიან ბევრია, რადგან აჭარა გამოირჩევა მცირემიწიანი ფერმერებით, პროგრამა, ასევე, განკუთვნილია სასოფლო სამეურნეო პროდუქციის სარეალიზაციო ქსელებში დასაქმებული ადამიანებისთვის, აგრონომებისთვის და ა.შ. პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 5 პირი, რომლებიც მონაწილეობდნენ პროგრამის შემუშავებაში, იქვე აღინიშნა, რომ ყველა მათგანს გააჩნია, როგორც თეორიული ცოდნა, ასევე მაღალკვალიფიციური პრაქტიკული გამოცდილება მცენარეთა დაცვის მიმართულებით, ასევე, აქვთ გამოცდილება სწავლების მიმართულებით.

ექსპერტმა ასევე აღნიშნა, რომ ერთროულად აღნიშნულ პროგრამაზე იგეგმება 16 მსმენელის მომზადება. თავის პრეზენტაციაში დარგის ექსპერტმა ისაუბრა სამივე სტანდარტის ქვესტანდარტებთან მიმართებაში, შემდეგ მან წარმოადგინა უნივერსიტეტის ბაზაზე არსებული მატერიალური რესურსის ფოტო მასალა.

საბჭოს წევრმა ნინო ველთაურმა დასვა კითხვა, თუ რა წინაპირობებს უნდა აკმაყოფილებოდეს მსმენელი პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების პროცესში, არის თუ არა გაწერილი, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ მავნებლების ქცევის კონკრეტული ვადის გაწერა რთულია, რადგან ისინი გარემო პირობებზე არიან დამოკიდებული.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები, საბჭოს წევრებს დამატებითი კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „მცენარეთა ინტეგრირებული დაცვა“ /01495/ პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 11

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტს (ს/კ: 245428158) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული გადამზადების პროგრამა - მცენარეთა ინტეგრირებული დაცვა /01495/ (დანართი 3).

მეოთხე საკითხის განხილვამდე საბჭოს სხდომა დატოვა საბჭოს წევრმა ნინო ველთაურმა.

4. ა(ა)იპ საქართველოს სამაცივრე მეურნეობებისა და ლოჯისტიკის ასოციაციის „მიწოდების ცივი ჯაჭვის მართვა“ /01455/ პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა დარგის ექსპერტმა თამარ ახალაძემ, მან აღნიშნა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2022 წლის 19 სექტემბრის №1116434 ბრძანების საფუძველზე, პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარმა სპეციალისტმა ლანა გაჩეჩილაძემ და დარგის ექსპერტმა თამარ ახალაძემ შეისწავლეს პროფესიული გადამზადების პროგრამის „მიწოდების ცივი ჯაჭვის მართვა“ განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადი და განახორციელეს ადგილზე ვიზიტი 26 სექტემბერს ქ. გორში, კერძოდ ა(ა)იპ კოლეჯი „განთიადის“ მისამართზე. ამ შემთხვევაში კოლეჯი არის ა(ა)იპ საქართველოს სამაცივრე მეურნეობებისა და ლოჯისტიკის ასოციაციის პარტნიორი და კოლეჯი უზრუნველყოფს მსმენელებს სასწავლო A გარემოთი. სასწავლო პროცესის ძირითადი ნაწილი კი ასოციაციის ბენეფიციარების რეალურ სამუშაო გარემოში- ხილისა და ბოსტნეულის დასახარისხებელ შესანახ კომპლექსში განხორციელდება. სამუშაო დღე წარიმართა წინასწარ შემუშავებული გეგმის მიხედვით. ექსპერტი გაეცნო პროგრამის წარმდგენი ორგანიზაციის წარმომადგენლებს. მათგან მოისმინა წარმოდგენილი პროგრამის მნიშვნელობის დასაბუთება და ასეთი სპეციალისტების არსებობის მოთხოვნილება ხილისა და ბოსტნეულის შენახვის აუცილებლობიდან გამომდინარე. ვიზიტის დროს მოხდა კოლეჯის წარმომადგენლებთან გასაუბრებაც, მოინახულეს რეალური სამუშაო გარემო, გაესაუბრნენ პროგრამის განმახორციელებლებს. სამუშაო ვიზიტმა ჩაიარა მშვიდად და შედეგიანად.

ვიზიტის დროს დაფიქსირდა რამდენიმე ხარვეზი პირველ სტანდარტთან მიმართებაში, კერძოდ

ქვესტანდარტი 1.7 - პროგრამის პირველ გვერდზე ველში - პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში - მითითებულია 12 კვირა, თუმცა პროგრამის შინაარსი 11 კვირიანია. აღნიშნული ორგანიზაციის მხრიდან განიმარტა ტექნიკურ ხარვეზად, თუმცა მესამე სწავლის შედეგი (სასაწყობე ტემპერატურის კონტროლის, კონტროლირებადი ატმოსფეროს სისტემების დაგეგმვა და მონიტორინგი ახალი ხილის და ბოსტნეულისთვის) არ არის გათვალისწინებული პროგრამაში და მისი მიღწევაც შეუძლებელია.

ქვესტანდარტი 1.9 - პროგრამის აღწერის მიხედვით 80 საათი დაეთმობა პრაქტიკულ მეცადინეობას, ხოლო 40 სთ - თეორიულ სწავლებას. თუმცა აღნიშნული ვერიდენტიფიცირდება პროგრამიდან, მხოლოდ პირველ, მეორე და მეთერთმეტე კვირას არის მითითებული C გარემო, თუმცა გასაუბრებით დგინდება, რომ პრაქტიკა ყოველკვირეულადაა გათვალისწინებული. რეკომენდირებულია, პროგრამაში ყოველკვირეულად მიეთითოს შესაბამისი გარემო, სად ხორციელდება სასწავლო პროცესი.

ქვესტანდარტი 1.10 - პროგრამის მიხედვით, განმსაზღვრელი შეფასებები გათვალისწინებულია გამოკითხვის მეთოდით, რაც სრულყოფილად ვერ უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურებას.

ვიზიტის დროს გაიცა რამდენიმე რეკომენდაცია, კერძოდ:

ქვესტანდარტი 1.4 - აღნიშნული წინაპირობები იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ სწავლის შედეგები მიღწეული იქნეს პროგრამის განხორციელების ვადაში.

თუმცა სასურველია დაზუსტდეს რა ტიპის კვალიფიკაციაზეა საუბარი და შესაბამის დარგში რა მოიაზრება. ამასთან მითითებულია განათლება - საშუალო. პირს თუ უდასტურდება კვალიფიკაცია დიპლომით მაშინ საშუალო განათლების მოთხოვნა რელევანტური არაა.

ქვესტანდარტი 1.6 - აღსანიშნავია, რომ პროგრამით გათვალისწინებული მესამე სწავლის შედეგი (სასაწყობე ტემპერატურის კონტროლის, კონტროლირებადი ატმოსფეროს სისტემების დაგეგმვა და მონიტორინგი ახალი ხილის და ბოსტნეულისთვის) არ არის გათვალისწინებული პროგრამის შინაარსში. გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ ელექტრონულ სისტემაში პროგრამის შემუშავებისას გამორჩენილია. აღნიშნულიდან გამომდინარე, რეკომენდირებულია პროგრამის შინაარსში დაზუსტდეს რომელ კვირაში და რა თემატიკით მიიღწევა მესამე სწავლის შედეგი.

ქვესტანდარტი 1.10 - რეკომენდირებულია შეფასების მეთოდებად მიეთითოს პრაქტიკული დავალება და პრაქტიკული დავალება დაკვირვებით.

დარგის ექსპერტი პრეზენტაციაში შეეხო აღნიშნული პროგრამის აქტუალობის საკითხს, მან აღნიშნა, რომ პირველადი პროდუქციის გაციება, შენახვა და შემდგომ მისი სწორი ტრანსპორტირება, მიწოდების ცივი ჯაჭვის უმნიშვნელოვანესი რგოლია. ბოლო წლებში, სხვადასხვა ორგანიზაციების (სოფლის განვითარების სააგენტო, USAID ის სოფლის მეურნეობის პროგრამა) დახმარებით დაფინანსდა სამაცივრე მეურნეობების მშენებლობა და აღჭურვა, რამაც ხელი შეუწყო ქვეყანაში მიწოდების ცივი ჯაჭვის ინფრასტრუქტურის მნიშვნელოვან განვითარებას.

დღის წესრიგში დადგა სამაცივრე დანადგარების მოწყობის აუცილებლობა. სამაცივრე დანადგარების მშენებლობას თან მოჰყვა პრობლემები, რომელიც ხილისა და ბოსტნეულის შენახვას უკავშირდებოდა. ამ ყველაფერმა განაპირობა პროგრამის შექმნის აუცილებლობა. USID -ის პროგრამა იყო წინაპირობა (2013 -2018 წლებში) ასოციაციას წარმოედგინა აღნიშნული სასწავლო პროგრამა.

ასოციაციის ინიცირებით მოხდა საკითხის წამოწევა პროექტის შედეგებიდან გამომდინარე. ჩატარებული აქვთ ტრენინგები უცხოელი ესპერტების მიერ სამაცივრე შენახვის საკითხებთან დაკავშირებით.

მან დასძინა, რომ წარმოდგენილია საჭიროების კვლევა ხილისა და ბოსტნეული კულტურების მიწოდების ცივი ჯაჭვში, კვლევა განხორციელდა 2022 წელს ა(ა)იპ ქართველოს სამაცივრე მეურნეობებისა და ლოჯისტიკის ასოციაციის მიერ.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციით, 2021 წელს საქართველოში 273 ერთეული სამაცივრე მეურნეობა ფუნქციონირებდა, რომელთა უმრავლესობაც შიდა ქართლის რეგიონშია (57.9 პროცენტი) განთავსებული. მოქმედი სამაცივრე მეურნეობები ასევე განთავსებულია კახეთის რეგიონში (16.8 პროცენტი), ქ. თბილისში (5.9 პროცენტი), აჭარის არ-ში (5.1 პროცენტი), ქვემო ქართლის რეგიონში (4.4 პროცენტი), სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში (4.0 პროცენტი), იმერეთის რეგიონში (2.6 პროცენტი), მცხეთა-მთიანეთის რეგიონში (1.5 პროცენტი), გურიის რეგიონში (1.5 პროცენტი) და სამცხე-ჯავახეთის (0.4 პროცენტი) რეგიონში.

წარმოდგენილი პროგრამა გათვლილია საქართველოს რეგიონების მასშტაბით არა მარტო გორის რაიონისთვის.

საქსტატის მონაცენებით - 2021 წლის განმავლობაში მომსახურება გაეწია 471 მომხმარებელს. მწარმოებელთა და გადამყიდველთა რაოდენობამ, რომელთაგანაც შესყიდულ იქნა პროდუქცია შემდგომი რეალიზაციის მიზნით, 678 ერთეული შეადგინა, ხოლო სამაცივრეებში დასაქმებულთა საშუალო თვიური რაოდენობა 2 166 კაცით განისაზღვრა. 2021 წლის განმავლობაში მაცივრებში შენახული (განთავსებული) იყო 242.1 ათასი ტონა პროდუქცია, მათ შორის 48.9 პროცენტი - ქათმის ხორცი (გაყინულის ჩათვლით), 22.1 პროცენტი - ხილი და ბოსტნეული, 16.1 პროცენტი - პირუტყვის ხორცი და ხორცპროდუქტები (ნახევარფაბრიკატების ჩათვლით), 7.4 პროცენტი - თევზი, 2.3 პროცენტი - რძის პროდუქტები, ხოლო დანარჩენ პროდუქტებს 3.2 პროცენტი უკავია.

ასოციაცია აპირებს გაერთიანდეს საერთაშორისო ასოციაციასთან ქსელში.

ცნობილი სავაჭრო ქსელები თანამშრომლობენ ასოციაციასთან და სურვილი აქვთ ითანამშრომლონ სამაცივრე ასოციაციასთან კადრების გადამზადების მიზნით. ასოციაციას ჰყავს 12 წევრი და უახლოეს პერიოდში მოხდება 42 წევრის დამატება, მათი ვინც USID პროექტის ფარგლებში მიიღო გრანტი სამაცივრე კომპლექსების შექმნასთან დაკავშირებით.

ექსპერტმა პრეზენტაციის ფარგლებში წარმოადგინა არსებული რესურსის ფოტო-მასალა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ორგანიზაციის წარმომადგენელს, რომ დაეფიქსირებინა პოზიცია, რაზეც ორგანიზაციის წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტებს თანამშრომლობითი საქმიანობისათვის, ასევე დასძინა, რომ ღირებულია მათ მიერ დაფიქსირებული ხარვეზები და გაცემული რეკომენდაციები და უკვე გამოსწორებული აქვს ორგანიზაციას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები, საბჭოს წევრებს დამატებითი კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ საქართველოს სამაცივრე მეურნეობებისა და ლოჯისტიკის ასოციაციისთვის „მიწოდების ცივი ჯაჭვის მართვა“ პროფესიული გადამზადების პროგრამის ხარვეზის გამოსასწორებლად ვადის განსაზღვრის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 10

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების

უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, "პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის დ) ქვეპუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ საქართველოს სამაცივრე მეურნეობებისა და ლოჯისტიკის ასოციაციას (ს/კ: 405272155) განესაზღვროს საბჭოს სხდომიდან 30 კალენდარული დღის ვადა პროფესიული გადამზადების პროგრამის - მიწოდების ცივი ჯაჭვის მართვა /01455/ - ხარვეზის გამოსასწორებლად.

მეხუთე საკითხის კენჭყრამდე საბჭოს სხდომა დატოვა თორნიკე თოხაძემ (17:30).

5. ა(ა)იპ აჭარის ხალხური ხელოვნების სკოლის „ქორეოგრაფიული ანსამბლის მოცეკვავე-მსახიობი“/01496/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა დარგის ექსპერტმა უჩა დვალიშვილმა, მან აღნიშნა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2022 წლის 7 ოქტომბრის №1247693 ბრძანების საფუძველზე პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის

უფროსმა სპეციალისტმა სალომე ქუთათელაძემ და დარგის ექსპერტმა უჩა დვალიშვილმა შეისწავლეს

პროფესიული მომზადების პროგრამის „ქორეოგრაფიული ანსამბლის მოცეკვავე-მსახიობი“ განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადი და 2022 წლის 13 ოქტომბერს განახორციელეს ვიზიტი ა(ა)იპ აჭარის ხალხური ხელოვნების სკოლაში.

ვიზიტის დროს გადამოწმდა პროფესიული მომზადების პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად

საჭირო მატერიალური, ადამიანური და სასწავლო რესურსი.

ვიზიტის დროს ხარვეზი არ დაფიქსირებულა, რეკომენდაციები არ გაცემულა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დარგის ექსპერტს წარედგინა აღნიშნული საკითხი.ექსპერტი უჩა დვალიშვილი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და აღნიშნა, რომ დაწესებულებამ წარმოადგინა პროფესიული მომზადების პროგრამა „ქორეოგრაფიული ანსამბლის მოცეკვავე-მსახიობი“, აღნიშნული პროგრამა მიეკუთვნება კვალიფიკაციის ჩარჩოს მესამე დონეს, პროგრამის ხანგრძლივობა არის 36 კვირა, სწავლების ენა ქართული, მსმენელთა ზღვრული რაოდენობა 15, ხოლო განხორციელების ადგილი არის ქ. ბათუმი, გალაქტიონ ტაბიძის ქ.11. დარგის ექსპერტმა აღნიშნა, რომ წარმოდგენილი პროფესიული მომზადების პროგრამა ითვალისწინებს 7 სწავლის შედეგის მიღწევას, აღნიშნული სწავლის შედეგების მიღწევით კი მსმენელი მიიღებს საქმიანობის სფეროს შესაბამის თეორიულ ცოდნასა და პრაქტიკულ გამოცდილებას.

მან ასევე აღნიშნა, რომ მიზანი მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებთან, კერძოდ პროფესიული მომზადების პროგრამის „ქორეოგრაფიული ანსამბლის მოცეკვავე-მსახიობი“ მიზანია მომზადდეს პირი, რომელიც შეძლებს საშემსრულებლო შემოქმედებითი, პრაქტიკული და ტრანსფერული უნარ-ჩვევების გამოყენებით სხვადასხვა ჟანრის საცეკვაო ნორმის შესრულებას.

თავის პრეზენტაციაში დარგის ექსპერტმა ისაუბრა პროგრამის მიზანშეწონილობაზე, მან დასძინა, რომ

ა(ა)იპ აჭარის ხალხური ხელოვნების სკოლამ წარმოადგინა დოკუმენტი - პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამ(ებ)ის განხორციელების საჭიროების დასაბუთება. აღნიშნული დოკუმენტი წარმოადგენს ა(ა)იპ აჭარის ხალხური ხელოვნების სკოლის მიერ პარტნიორი კომპანიის

საჭიროების გამოვლენისთვის განხორციელებული კვლევის ანგარიშს. დოკუმენტის მიხედვით, კვლევის მიზანს წარმოადგენდა დამსაქმებელ კომპანიათა საჭიროების გამოვლენა, მომზადება/გადამზადების პროგრამების კურსდამთავრებულთა დასაქმების შესაძლებლობის ანალიზი.

ადგილზე ვიზიტის დროს, კოლეჯის დირექტორთან საუბარში, რომელსაც საკმაოდ დიდი გამოცდილება აქვს ღონისძიებათა ორგანიზებაში (არის ლიტერატურის საერთაშორისო ფესტივალის „ზე-კართან“ დამფუძნებელი), კიდევ უფრო მკაფიოდ გამოიკვეთა „ქორეოგრაფიული ანსამბლის მოცეკვავე-მსახიობი“ პროფესიული მომზადების პროგრამის აქტუალობა და ამ მიმართულებით კვალიფიციური სპეციალისტის საჭიროება. მან აღნიშნა, რომ რეგიონში არის 3 აკადემიური სტუდია, 10-ზე მეტი თვითმოქმედი ანსამბლი და 200-ზე მეტი სტუდია და დიდია ამ მიმართულებით მოქალაქეების დაინტერესება, აქვე აღნიშნა მოცეკვავე მსახიობების თვითდასაქმების მაღალი მაჩვენებელი, ვინაიდან რეგიონი ტურისტულად აქტიურია, ასევე ხშირია კულტურული დიდი ღონისძიებები თუ სადღესასწაულო ღონისძიებები და საცეკვაო შოუები ხშირად იმართება და მათში მონაწილეობა სოლიდურ დღიურ ანაზღაურებას უკავშირდება.

ასევე მან ისაუბრა იმაზე, რომ პროგრამა უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო ადამიანური რესურსით, კერძოდ პროგრამის განხორციელებაში ჩართული იქნება 6 განმახორციელებელი პირი, ვიზიტის დროს 3 განმახორციელებელ პირთან მოხდა გასაუბრება, განამხორციელებელი პირების კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, პროგრამის განმახორციელებელ პირთა ცოდნა, უნარები და კვალიფიკაცია დადასტურებულია შესაბამისი განათლების კვალიფიკაციისა და სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტაციით, ასევე მათთან გასაუბრებით.

წარმოდგენილი პროფესიული მომზადების პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა საბაზო განათლება, ხოლო ასაკი - 18 წელი, აპლიკანტთა შერჩევის ფორმაა გასაუბრება - პროფესიის მოსინჯვის მეთოდით.

მან დასძინა, რომ სწავლების პროცესში გამოყენებული იქნება მრავალფეროვანი სწავლების მეთოდები, კერძოდ ინტერაქციული ლექცია, დემონსტრირება, პრაქტიკული სავარჯიშო, ინსტრუქტაში. პროგრამა ითვალისწინებს სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმას. პროგრამის განხორციელებისას გათვალისწინებული პრაქტიკული კომპონენტი პროგრამის დაახლოებით 80%-ს მოიცავს. სწავლების

თეორიული კომპონენტი ხორციელდება ა(ა)იპ აჭარის ხალხური ხელოვნების სკოლაში A ტიპის სასწავლო გარემოში. პრაქტიკული სწავლების ნაწილი ჩატარდება დაწესებულებაში არსებულ C გარემოში (2 დარბაზი).

დარგის ექსპერტმა ასევე აღნიშნა, რომ სასწავლო გარემოები აღჭურვილია ყველა საჭირო რესურსით, შესაბამისად პროგრამისთვის განკუთვნილი მატერიალური რესურსი შეესაბამება მსმენელთა მოთხოვნილ რაოდენობას. სასწავლო რესურსი წარმოდგენილია როგორც ბეჭდური, ასევე ელექტრონული სახით. სასწავლო რესურსები ხელმისაწვდომია პროგრამის მსმენელთათვის როგორც ბიბლიოთეკაში მატერიალურად, ასევე ელექტრონულად.

შესაძლებელია დაიბეჭდოს საჭირო მასალა ბიბლიოთეკაში და გადაეცეს მსმენელს. სასწავლო რესურსები ფარავს პროგრამის ყველა სწავლის შედეგს და მორგებულია მსმენელთა საჭიროებებზე. პრეზენტაციაში დარგის ექსპერტი შეეხო სამივე სტანდარტის ყველა ქვესტანდარტს.

ვინაიდან დაწესებულება უკვე ახორციელებს პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამებს ექსპერტები დაინტერესდნენ, თუ როგორ იყენებს იურიდიული პირი ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებს. წარმოდგენილი დოკუმენტის მიხედვით, საგანმანათლებლო საქმიანობის ხარისხის სრულყოფისთვის დაწესებულება იყენებს სასწავლო პროცესში ჩართული დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის მექანიზმს, რაც გამოიხატება მსმენელების და განმახორციელებელი პირების გამოკითხვის საშუალებით. გამოკითხვის შედეგების ანალიზის საფუძველზე ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი შეიმუშავებს რეკომენდაციებს სასწავლო პროცესში გამოვლენილი ნაკლოვანებების აღმოფხვრის და აღნიშნული საქმიანობის განვითარების მიზნით. დაწესებულებას შემუშავებული აქვს მსმენელის, კურსდამთავრებულთა, განმახორციელებელ პირთა და დამსაქმებელთა კმაყოფილების კითხვარები. ამდენად, საგანმანათლებლო საქმიანობის ეფექტური განხორციელებისთვის იყენებს საგანმანათლებლო მომსახურების ხარისხის უზრუნველყოფის რელევანტურ მექანიზმებს. პრეზენტაციის ბოლოს დარგის ექსპერტმა წარმოადგინა სასწავლო გარემოს ფოტო მასალა.

საბჭოს წევრი გიორგი გამყრელიძე დაინტერესდა, ვინაიდან აღნიშნულ პროგრამაზე, რომელიც ადრე ჰქონდა შემოტანილი იურიდიულ პირს, მიღებული იქნა უარყოფითი გადაწყვეტილება, ამ ეტაპისთვის რა გამოსწორდა და როგორ, რაზეც ექსპერტმა უპასუხა, რომ მოცეკვავე, მოიაზრება, როგორც მოცეკვავე - მსახიობი და ეს მიღებული ქორეოგრაფიული ტერმინია, რაც შეეხება დაშვების წინაპირობას, მან აღნიშნა, რომ პირს გარკვეული საშუალო განათლება უნდა ჰქონდეს, ხოლო როგორც აღნიშნა, პროგრამაზე მსმენელების მიღება ხდება პროფესიის მოსინჯვის მეთოდით.

პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა ნანი დალაქიშვილმა აღნიშნა, რომ, როდესაც დაწესებულებას აღნიშნული პროგრამა ჰქონდა შემოტანილი და ამა წლის აგვისტოს სხდომაზე აღნიშნულ საკითხზე დადებითი დასკვნა გავიდა, სადაც არ ყოფილა არც ხარვეზები და არც რეკომენდაციები, თუმცა გადაწყვეტილება იყო უარყოფითი, საბჭოს სხდომაზე ანალოგიური კითხვები დაისვა და მაშინაც იყო განმარტებული, როგორც ექსპერტის, ასევე ცენტრის წარმომადგენლის მხრიდან და ყველა ქვესტანდარტის მიხედვით შეფასდა აღნიშნული პროგრამა, გარდა ამისა დაწესებულების მხრიდანაც მოთხოვნის შესაბამისად გაკეთდა დასაბუთებაში დამატებითი განმარტებები.

ამის შემდეგ საბჭო გავიდა მოსათათბირებლად.

სათათბიროდან დაბრუნების შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, რომ დაეფიქსირებინა თავისი პოზიცია. დაწესებულების წარმომადგენელი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და აღნიშნა, რომ საშემსრულებლო ხელოვნება არის ერთ-ერთი წამყვანი დარგი ქართული კულტურის პოლიტიკის. მან ასევე დასძინა, რომ პირს უნდა ჰქონდეს მოცეკვავისთვის საჭირო უნარ-ჩვევები და ამავედროულად უნდა გადიოდეს სამსახიობო ხელოვნებას, რომ მოახდინოს გარდასახვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები, საბჭოს წევრებს დამატებითი კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ აჭარის ხალხური ხელოვნების სკოლის „ქორეოგრაფიული ანსამბლის მოცეკვავე-მსახიობი“ /01496/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 7

წინააღმდეგი: 2

გადაწყვეტილება:

დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ აჭარის ხალხური ხელოვნების სკოლას (ს/კ: 445391736) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - ქორეოგრაფიული ანსამბლის მოცეკვავე-მსახიობი /01496/ (დანართი 4).

საბჭოს სხდომა დასრულდა 18:00 საათზე.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული მომზადების
პროფესიული გადამზადების პროგრამების უფლების
მიმნიჭებელი საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბაბალაშვილი ნინო



სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი / პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების უფლების მიმნიჭებელი საბჭო
საბჭოს მდივანი
ბერიძე ზაირა



დანართი 1

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
01492	ფარმაცევტული ზრუნვა (კონსულტირება)	პროფესიული გადამზადება	მეხუთე	13	ქართული	50	ქ. თბილისი, რუსთავეის გზატკეცილი №18-22

დანართი 2

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
01490	პარაფარმაციის კონსულტანტი	პროფესიული მომზადება	მეოთხე	12	ქართული	50	ქ. თბილისი, რუსთავეის გზატკეცილი №18-22

დანართი 3

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
01495	მცენარეთა ინტეგრირებული დაცვა	პროფესიული გადამზადება	მეოთხე	10	ქართული	15	ქ. ბათუმი, ლეონიძის ქ. №15

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
01496	ქორეოგრაფიული ანსამბლის მოცეკვავე-მსახიობი	პროფესიული მომზადება	მესამე	36	ქართული	15	ქ. ბათუმი, გალაქტიონ ტაბიძის ქ. №11